ჯიბრილი არ წყვეტდა ჩემს დარიგებას, რომ მეზობლის მიმართ კარგი დამოკიდებულება მქონოდა (ისე დიდხანს), რომ ვფიქრობდი, რომ მან ის მემკვიდრეთა შორის შეიყვანა

გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჯიბრილი არ წყვეტდა ჩემს დარიგებას, რომ მეზობლის მიმართ კარგი დამოკიდებულება მქონოდა (ისე დიდხანს), რომ ვფიქრობდი, რომ მან ის მემკვიდრეთა შორის შეიყვანა».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოსცემს, რომ ჯიბრიილ (მშვიდობა მას) მრავალჯერ უმეორებდა და ავალებდა, რომ მეზობლის მიმართ კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა, იქნებოდა ის ახლო მეზობელი, მუსლიმი თუ ურწმუნო, ნათესავი თუ არა. ეს გულისხმობდა მისი უფლებების დაცვას, მასზე ზიანის მიყენებისგან თავის არიდებას, სიკეთის კეთებას და მისი მხრიდან გამოწვეული უსიამოვნებების მოთმენას. მეზობლის უფლებების უზარმაზარი მნიშვნელობის გამო და იმის გამო, რომ ჯიბრიილი (მშვიდობა მას) ასე ხშირად ახსენებდა ამას, მოციქულმა იფიქრა, რომ შესაძლოა, გამოეცხადებოდა მისთვის მემკვიდრეობის შესახებ, სადაც ერთ მეზობელს ექნებოდა უფლება მეორის ქონებაზე მისი სიკვდილის შემდეგ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4965